



# საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020136333488120

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბრძანება № 579/ს

02 / ივნისი / 2020 წ.

**სს „ადო ჯორჯია მაინინგ- Ado Georgia Mining PJSC“-ზე (ს/კ 404415441) გაცემული სასარგებლო წიალისეულის მოპოვების (N1001340) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 02 მარტის N260/ს ბრძანების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Georgia Mining PSJC“-ზე (ს/კ 404415441) გაცემული სასარგებლო წიალისეულის მოპოვების (N1001340) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისაზღვრა ბრძანების გამოცემიდან ერთი თვე, თუმცა სააგენტოს უფროსის 428/ს ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაიზარდა 2020 წლის 02 ივნისამდე.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძველად დაედო სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 თებერვლის N454 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Georgia Mining PSJC“-ის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე და დაყენებულ იქნა ლიცენზიის გაუქმების შუამდგომლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარის, სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Georgia Mining PSJC“-ის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. სააგენტოს მიერ ყველა დოკუმენტი არაერთხელ გაიგზავნა კომპანიის იურიდიულ მისამართზე, თუმცა, გაგზავნილი წერილობითი კორესპონდენციები უკან ბრუნდებოდა. წარმოების მიმდინარეობის პროცესში მოხერხდა კომპანიის დირექტორთან სატელეფონო კომუნიკაცია. როგორც გენერალურ დირექტორთან საუბრის შემდგომ გაირკვა, ის არ იმყოფებოდა საქართველოში, შესაბამისად, იურიდიულ მისამართზე დოკუმენტების ჩაბარება ვერ განხორციელდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოების მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წარმოების დაწყების შესახებ ბრძანება და ადმინისტრაციული წარმოების სხვა მასალები ეტაპობრივად გაიგზავნა კომპანიის გენერალური დირექტორის ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც თავად მიუთითა სააგენტოს წარმომადგენელს სატელეფონო კომუნიკაციის დროს.

ზეპირი მოსმენის სხდომა ჩატარდა დისტანციური ფორმით skype-ის საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით, ვინაიდან კომპანიის გენერალური დირექტორი არ იმყოფებოდა საქართველოში. სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Georgia Mining PSJC“-ის გენერალურ დირექტორს და მის წარმომადგენელს მიეცათ საშუალება, სრულფასოვნად გამოეხატათ საკუთარი პოზიცია ლიცენზიის მიმდინარე წარმოების ფარგლებში.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, იურიდიული სამსახურის მიერ გამოკვლეულ იქნა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც შემდგომ მიეცა სამართლებრივი შეფასება.

- სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Georgia Mining PJSC“ (ს/კ 404415441) ფლობს სასარგებლო წიალისეულის მოპოვების N 1001340 ლიცენზიას ონის მუნიციპალიტეტში, ჩორდის ბარიტის საბადოს ლესორასა და ღვალვანას უბნებზე ბარიტის მოპოვების მიზნით;
- სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 21 მაისის N 13/29 ბრძანებით კომპანიას განესაზღვრა რიგი ვალდებულებები, რომელთა შეუსრულებლობაც საფუძველად დაედო ლიცენზიის გაუქმებას. კერძოდ:
- კომპანია ლიცენზიის გაცემიდან 12 თვის ვადაში ვალდებული იყო ჩაეტარებინა საძიებო სამუშაოები, შეესწავლა რესურსი და დასამტკიცებლად წარმოედგინა ლიცენზიით

გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;

- კომპანიას 2012 წელს უნდა დაეწყო და 2014 წელს დაესრულებინა ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსის გადამამუშავებელი კომბინატის მშენებლობა და დაესაქმებინა ადგილობრივი მოსახლეობა (არანაკლებ 30 კაცი);
  - ზემოაღნიშნული სალიცენზიო პირობების შესასრულებლად ლიცენზიის მფლობელს განესაზღვრა ვალდებულება განეხორციელებინა 2 250 000 დოლარის ინვესტიცია;
  - ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა სააგენტოში წარმოედგინა მომავალი წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი;
  - ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არაუგვიანეს ყოველი წლის 1 აპრილისა სააგენტოში წარმოედგინა წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში.
- ლიცენზიის მფლობელის მიერ დღეის მდგომარეობითაც არ არის შესრულებული არცერთი ზემოაღნიშნული ვალდებულება.
  - ლიცენზიით გათვალისწინებული წიაღისეულის გადამამუშავებელი კომბინატის მშენებლობა, რომელიც კომპანიის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენდა, არ იქნა შესრულებული. მისი მშენებლობა უნდა დაწყებულიყო 2012 წელს და დასრულებულიყო 2014 წელს. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს შექმნამდე სალიცენზიო პირობების მაკონტროლებელი ორგანოს სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Goergia Mining PJSC“-ის მიმართ 2015 წლის 21 აპრილს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N015143 ოქმი. 2015 წლის 28 აპრილის N4/30-15 დადგენილებით კომპანია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;
  - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან ერთად, სალიცენზიო პირობის შეუსრულებლობის გამო, სს „ზირაათ ბანკი“-ს საქართველოს ფილიალიდან გამოთხოვილ იქნა საბანკო გარანტია - 112 500 აშშ დოლარის ოდენობით, სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 21 მაისის N 13/29 ბრძანების პირველი მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად;
  - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 11 აგვისტოს N 21/6536 წერილით სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Georgia Mining PJSC“-ს სალიცენზიო პირობების დარღვევის აღმოსაფხვრელად - ლიცენზიით გათვალისწინებული წიაღისეულის გადამამუშავებელი კომბინატის ასაშენებლად განესაზღვრა 18 თვიანი ვადა;
  - 2019 წლის 07 მაისს განხორციელებულ იქნა სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Goergia Mining PJSC“-ზე გაცემული N1001340 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბარიტის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით კომპანიის მიერ ლიცენზიის მიღების დღიდან არ განხორციელებულა ქმედითი ღონისძიებები, არ ჩატარებულა არანაირი სახის სამუშაოები, არ მიმდინარეობს ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები, განადგურებულია ბარიტის გადამზიდი საბაგიროს ხაზები.
  - გადამამუშავებელი კომბინატის აშენების და ადგილობრივი მოსახლეობის (არანაკლებ 30 კაცის) დასაქმების ვალდებულებების შეუსრულებლობის, 2018 წლის 01 დეკემბრამდე 2019 წლის სამუშაო გეგმა-ბიუჯეტის წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის, 2019 წლის 01 აპრილამდე წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის და 2019 წლის 01 აპრილიდან 01 მაისამდე პერიოდში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2019 წლის 14 მაისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N001065 ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57<sup>3</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად. N 001065 ოქმი განიხილა ონის მაგისტრატმა სასამართლომ, 2019 წლის 17 ივლისის N 4/32 დადგენილებით სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Goergia Mining PJSC“ ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57<sup>3</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული სამართალთა დარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.
  - სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Goergia Mining PJSC“-ის მიმართ ასევე შედგენილია შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები: 2015 წლის 24 თებერვალს შედგენილ იქნა N005970 ოქმი 2014 წლის 01 დეკემბრამდე მომავალი წლის გეგმა და ბიუჯეტის წარმოდგენლობის გამო, 2015 წლის 16 მარტის N 4/1384-15 დადგენილებით კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. 2016 წლის 22 თებერვალს

შედგენილ იქნა N 025443 ოქმი 2015 წლის 01 დეკემბრამდე მომავალი წლის გეგმა და ბიუჯეტის წარმოდგენლობის გამო. 2017 წლის 17 მარტს შედგენილ იქნა N 034787 ოქმი 2016 წლის 01 დეკემბრამდე მომავალი წლის გეგმა და ბიუჯეტის წარმოდგენლობის გამო, 2017 წლის 08 მაისის N 4/ა-358-17 დადგენილებით კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით;

- იმის გათვალისწინებით, რომ სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Goergia Mining PJSC“-ს 2012 წელს უნდა დაეწყო და 2014 წელს დაესრულებინა ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსის გადამამუშავებელი კომბინატის მშენებლობა, ვალდებულების შეუსრულებლობის შემდეგ, დამატებით განესაზღვრა 18 თვიანი ვადა და სააგენტოს მიერ ლიცენზიის ადგილზე გადამოწმებისას, დადგინდა, რომ ლიცენზიის გაცემიდან კომპანიის მიერ კომბინატის ასაშენებლად არანაირი სახის სამუშაოები არ ჩატარებულა, ცალსახაა, რომ აღნიშნული სალიცენზიო პირობის შესასრულებლად, გონივრული ვადის განსაზღვრით და ლიცენზიის მფლობელის კვლავ დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი შედეგი. კომპანიის მხრიდან დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა და დაჯარიმებების შემდგომ არ არის გატარებული არანაირი სახის ქმედითი ღონისძიებები, შესაბამისად, სალიცენზიო პირობის შესრულება უახლოეს მომავალში ფაქტობრივად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთი გონივრული ვადის განსაზღვრა სალიცენზიო პირობის შესასრულებლად და სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, ამკარაა, რომ ვერ დააყენებს შესაბამის შედეგს. ამასთან, კომპანია რამდენიმე წელია არ აწარმოებს სამუშაოებს, რასაც ადასტურებს წიაღის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ადგილზე განხორციელებული შემოწმება, კომპანიის მიერ განსახორციელებელი ქმედებების, შესასრულებელი სამუშაოების გეგმა- ბიუჯეტების და შესრულებული სამუშაოების ანგარიშების წარმოდგენის ვალდებულებების დარღვევები და კომპანიის მიერ წარმოდგენილი არაერთი წერილი კომპანიის ფუნქციონირების შეჩერების თაობაზე, შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი წიაღით რაციონალური სარგებლობა;
- სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 21 მაისის #13/29 ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსის გადამამუშავებელი კომბინატის მშენებლობის ვალდებულების და ადგილობრივი მოსახლეობის (მინიმუმ 30 კაცი) დასაქმების ვალდებულების შეუსრულებლობა და ამ მიზნით 2 250 000 დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი.

2020 წლის 29 მაისს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მიზნით დისტანციური ფორმით, skype-ის საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით, გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაში მონაწილეობა მიიღო სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Goergia Mining PJSC“-ის გენერალურმა დირექტორმა არდა ქოროღლუმ და მისმა წარმომადგენელმა (წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მინდობილობა) ნაზიმ გულმა.

კომპანიის წარმომადგენლების პოზიციით, პრობლემები დაიწყო 2016 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაიწყო კომპანიის შიდაკორპორაციული დავა პარტნიორებს შორის. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ითხოვა ლიცენზიის გაუქმების წარმოების ვადის გაზრდა იქამდე, სანამ აღნიშნული დავა არ დასრულდებოდა. ამის შემდგომ კომპანია კვლავ შეძლებდა ინვესტირების პროცესის გაგრძელებასა და ვალდებულებების შესრულებას.

გარდა ამისა, კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამოღებული ბუნებრივი რესურსი, რომლის ზუსტი ოდენობის დასახელება არ შეეძლო, გამოსაყენებლად არ იყო ვარჯისი, ვინაიდან მასში გარეული იყო სხვადასხვა ქიმიური ელემენტები, მათ შორის, ვერცხლისწყალი. ასევე, წარმოების ვადის გაზრდა სურდა იმ მოტივით, რომ წარმოედგინა გარკვეული დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ვალდებულების შესრულებას 30 კაცის დასაქმებასთან მიმართებით.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 16 აპრილის N428/ს ბრძანების საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაიზარდა მაქსიმალურ დრომდე, შესაბამისად, წარმოების ვადის გაზრდის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა.

წარმოებაში მონაწილე მხარეს, განემარტა რომ ვადის გაზრდა ვერ განხორციელდებოდა, თუმცა მათ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ჰქონდათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ მათთვის სასურველი დოკუმენტები. რასაც მიეცემოდა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

კომპანიის წარმომადგენლების მიერ არაერთხელ იქნა ყურადღება გამახვილებული შიდაკორპორაციულ დავაზე, რომელიც დღემდე მიმდინარეობს და ვალდებულებების შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად სწორად აღნიშნული არგუმენტი იქნა დასახელებული. მათი პოზიციით, სასამართლო დავის მიმდინარეობის გამო კომპანია ვერ განახორციელებდა ლიცენზიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

კომპანიის გენერალური დირექტორი არდა ქოროღლუმ დაეთანხმა სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების მიერ დასახელებულ სალიცენზიო პირობების დარღვევის ფაქტს, თუმცა ერთ-ერთ ვალდებულებასთან მიმართებით, კერძოდ, 30 კაცის დასაქმებასთან მიმართებით, განმარტა, რომ 30 ადამიანი იყო დასაქმებული სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, თუმცა ამ

ეტაპისთვის აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ ჰქონდა. არც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და არც მას შემდეგ, არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებულ ვალდებულებასთან მიმართებით სასამართლომ იმსჯელა და კომპანია სცნო სამართალდამრღვევად. აქედან გამომდინარე, სსიპ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე იხელმძღვანელა არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დასტურდება კომპანიის უმოქმედობა ლიცენზიით მინიჭებული უფლების ფარგლებში. ამგვარაა, რომ ლიცენზიის მფლობელისთვის სალიცენზიო პირობის შესასრულებლად გონივრული ვადის განსაზღვრა და კვლავ დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს შესაბამის შედეგს, ვინაიდან, ადმინისტრაციული სახდელის დადებამ და დამატებით განსაზღვრულმა გონივრულმა ვადამ ვერ უზრუნველყო სალიცენზიო პირობების შესრულება. ამასთან, ირღვევა წიაღისეულით რაციონალური სარგებლობის პრინციპი.


ამდენად, ცალსახაა, რომ ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შედეგი, მისი მხრიდან არც ერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა. შესაბამისად სახეზეა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის № 1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 21 მაისის „სს „ადო ჯორჯია მაინინგ-Ado Georgia Mining PSJC“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის (ბარიტის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ N13/29 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001340 ლიცენზია;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემების დადგენილი წესით შეტანა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N2), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელემტრონულად 

ნანა ზამთარაძე